განკარგულება:**g-49. 492536011**
თარიღი:**26/12/2025**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482535679; 22/12/2025) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა 2025 წელს შეადგენდა 25 ერთეულს(მერის თანაშემწე -3, კონსულტანტი-4, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი -1, ფსიქოლოგი -1, კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტი -1, დამხმარე სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში-1, მერის მდივანი-1, მერის მძღოლი-1, მძროლი-1, დამლაგებელი-5, შავი ზღვის აუზის NEXT პროგრამის კოორდინატორი -1, შავი ზღვის აუზის NEXT პროგრამის კოორდინატორის ასისტენტი-1. შავი ზღვის აუზის NEXT პროგრამის ფინანსური მენეჯერი -1, შავი ზღვის აუზის NEXT პროგრამის პიარ მენეჯერი-1, შავი ზღვის აუზის NEXT პროგრამის ტექნიკური მენეჯერი -1, შავი ზღვის აუზის NEXT პროგრამის ტექნიკური მენეჯერის ასისტენტი-1. ყველა მათგანთან მერს სურს ხელშეკრულების გაგრძელება, რაც სცილდება კანონმდებლობით დაწესებულ შეზღუდვებს 20 ერთეულით. ამასთან აღსანიშნავია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოშიც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ (დასასაქმებელ) პირთა რაოდენობა შეადგენს 10 ერთეულს: საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე–2, მძღოლი–2, დამლაგებელი–2, კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტი – 1, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი –1, კომისიებში მოწვეული სპეციალისტი - 2, რაც ხუთი ერთეულით სცილდება კანონმდებლობით დაწესებულ ფარგლებს. შესაბამისად, აუცილებელია დასაქმებულ (დასასაქმებელ) პირთა რიცხოვნობასთან დაკავშირებული გამონაკლისის დაშვება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29–ე მუხლის მე–3 და მე–4 პუნქტების, „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25–ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებულ იქნეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში - 2 დამლაგებლის, 2 კომისიებში მოწვეული სპეციალისტისა და 1 საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის, ხოლო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში – 5 დამლაგებლის, 1 კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტის, 1

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, 1 ფსიქოლოგის, 4 კონსულტანტის, 1 მერის მდივნის, 1 დამხმარე სპეციალისტის მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და რუმინეთის შრომის, განვითარებისა და ადმინისტრირების სამინისტროს შორის ხელმოწერილი კონტრაქტის ფარგლებში 1 კოორდინატორის, 1 კოორდინატორის ასისტენტის, 1 ფინანსური მენეჯერის, 1 პიარ მენეჯერის, 1 ტექნიკური მენეჯერის და 1 ტექნიკური მენეჯერის ასისტენტის ერთი წლის ვადით მიღების/ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ.

2. ამ განკარგულების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 იანვრის N13 (გ-49.492503113) განკარგულება.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე